სახელმწიფო შესყიდვის
ხელშეკრულება №54-280518-02

ქ. თბილისი **28 მაისი, 2018 წ.**

ერთის მხრივ, სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია" (შემდგომში – "შემსყიდველი"), წარმოდგენილი დირექტორის ფინანსურ საკითხებში დავით ვარდიაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ჯი ემ თი მთაწმინდა" (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი საკვებისა და სასმლის საოპერაციო მენეჯერის თეა ამირიძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მესამე პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია, 2018 წლის 30 მაისს საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩის და ჩინეთის საინჟინრო კორპორაციის China Tianchen Engineering Corporation-is (TCC) დელეგაციისათვის სადილის ორგანიზების მომსახურების შესყიდვა (50 პერსონაზე) (CPV 55300000; შემდგომში -„მომსახურება").

1.2. განხორციელებული მომსახურების ღირებულება განისაზღვრება ფაქტიურად განხორციელებული მომსახურების შესაბამისად (შემსყიდველის მიერ მოთხოვილი მენიუს შესაბამისად).

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. "შემსყიდველი" ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი ანგარიშწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით და ოდენობით.

2.2. "შემსყიდველი" უფლებამოსილია მოსთხოვოს „მიმწოდებელს" ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად და სრულად შესრულება.

2.3 "მიმწოდებელი" ვალდებულია, კეთილსინდისიერად და დროულად შეასრულოს მასზე ამ ხელშეკრულებით დაკისრებული მოვალეობები.

2.4. "მიმწოდებელი" უფლებამოსილია მოსთხოვოს „შემსყიდველს" ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად და სრულად შესრულება.

3. "მომსახურების" გაწევის წესი, მიღება-ჩაბარების პირობები და ანგარიშსწორების ფორმა და ვადა

3.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია გაუწიოს „შემსყიდველს" წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული „მომსახურება" 2018 წლის 30 მაისს. მომსახურების ადგილი: ქ. თბილისი, მთაწმინდის ზედა პლატო, სადილის დაწყების დრო: 19:00 საათი.

3.2. "მომსახურების" დასრულებისთანავე „მიმწოდებელსა" და „შემსყიდველს" შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერენ მხარეთა მიერ უფლებამოსილი პირები.

3.3. „წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული „მომსახურების" მაქსიმალური საერთო სავარაუდო ღირებულება შეადგენს არაუმეტეს 17 000.00 (ჩვიდმეტი ათასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3.4. ანგარიშსწორებისათვის საჭირო დოკუმენტებია:

- მიღება-ჩაბარების აქტი;
- საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა;

3.5. ანგარისშწორება „მიმწოდებელთან" წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, „მიმწოდებლის" მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 3.4. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის „შემსყიდველისთვის" წარმოდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

4. გარანტია, პასუხისმგებლობა და ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

4.1. „მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას და იძლევა გარანტიას, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული "მომსახურება" იქნება დროული, ხარისხიანი და დააკმაყოფილებს აღნიშნულ სფეროში არსებულ სტანდარტებსა და მოთხოვნებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, „მიმწოდებელი" თავისი ხარჯითა და პასუხისმგებლობით უზრუნველყოფს ნაკლის აღმოფხვრას შემსყიდველის მიერ ნაკლის გამოვლენისთანავე.

იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს „მომსახურების" გაწევას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, შემსყიდველს უფლება აქვს სანქციის სახით დააკისროს მიმწოდებელს ხელშეკრულების საერთო სავარაუდო მაქსიმალური ღირებულების ოდენობის პირგასამტეხლოს გადახდა, რაც მიმწოდებელმა შემსყიდველის მიერ მისთვის (მიმწოდებლისთვის) პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე წერილობითი შეტყობინების მიღების დღიდან, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 2 (ორი) კალენდარული დღისა უნდა გადაუხადოს შემსყიდველს.

4.2. მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა და/ან დარღვევა გამოიწვევს მათ პასუხისმგებლობას წინამდებარე ხელშეკრულებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

4.3. ,,შემსყიდველის" მიერ ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში „მიმწოდებელს" უფლება აქვს დააკისროს ,,შემსყიდველს" პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ სამუშაო დღეზე გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით.
4.4. მხარეს შეუძლია მოითხოვოს მეორე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
4.5. ზიანის ანაზღაურება და პირგასამტეხლოს გადახდა, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა, არ ათავისუფლებს მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვადებულებების ჯეროვნად შესრულების მოვალეობისგან.
4.6. უხარისხოდ გაწეული „მომსახურების" შედეგად ,,შემსყიდველისთვის", ან მესამე მხარისათვის მიყენებული ნებისმიერი ზიანის ანაზღაურება ეკისრება "მიმწოდებელს".
4.7. ხელშეკრულებიდან ვადამდე გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა.

5. მხარეთა პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება
5.1. მხარეები არ აგებენ პასუხს ვალდებულებათა სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით (მიწისძვრა, წყალდიდობა, სახელმწიფო გადატრიალება და სხვა გარემოებები, რომლებიც არ არიან დამოკიდებული მხარეებზე და ითვლებიან ფორს მაჟორულ გარემოებებად).
5.2. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.
5.3. წერილობით შეტყობინებაში მითითებული ფაქტები დადასტურებული უნდა იქნას კომპეტენტური ორგანოს მიერ. დადასტურება არ არის საჭირო, თუ აღნიშნული ფაქტები ცნობილია საზოგადოდ.
5.4. მხარეები ანახლებენ თავიანთი ვალდებულებების განხორციელებას ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრისთანავე.

6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები
6.1. "შემსყიდველს" ან მის მიერ წარმოდგენილ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს განახორციელონ გაწეული მომსახურების კონტროლი.
6.2. "მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებისა და მისი დანართ(ებ)ის შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.
6.3.ინსპექტირების ჯგუფის ფუნქციებია:
6.3.1. მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების წინადებარე ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება და "შემსყიდველის" მიერ უფლებამოსილების მინიჭების შემთხვევაში მიღება-ჩაბარების აქტზე ხელის მოწერა.
6.3.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე შეამოწმოს, სრულად არის თუ არა წარმოდგენილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინფორმაცია და უარი თქვას დაგვიანებით ან არასრულად მოწოდებული ინფორმაციის მიღებაზე და შესაბამის ანაზღაურებაზე.
6.3.3. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.
6.3.4. საჭიროების შემთხვევაში წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის ამსახველი პერიოდული დოკუმენტაციის წარმოება და შენახვა.
6.3.5. წინამდებარე ხელშეკრულების ეფექტური შესრულების მიზნით სხვა უფლებამოსილების განხორციელება.
6.4. „მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი რესურსით უზრუნველყოს ინსპექტირების ჯგუფი შემოწმების ჩატარებისთვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა
7.1. ხელშეკრულების მონაწილე არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
7.2. დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილებების შეტანა, რომლის შედეგად შემსყიდველისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
7.2.1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
7.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით შეთანხმების სახით, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას და ჩაითვლება მის განუყოფელ ნაწილად.
7.4. ხელშეკრულებაში შეტანილი ყველა ცვლილება იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

8. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 06 ივლისის ჩათვლით.

8.2. ხელშეკრულების შესაბამისი მუხლები ძალაში რჩება, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ ამოწურვამდე.

9. დავების გადაწყვეტა, მარეგულირებელი სამართალი

9.1. მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა წყდება მხარეთა ურთიერთმოლაპარაკების გზით.

9.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ყველა სადავო საკითხი წყდება საქართველოს სასამართლოში.

9.3. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

10. დასკვნითი დებულებები

10.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდული ძალის მქონე 2 (ორ) ეგზემპლარად.

10.2. ხელშეკრულების ცალკეული მუხლის და/ან პუნქტის ბათილობა ან ძალადაკარგულად ცნობა არ ახდენს გავლენას მთლიანად ხელშეკრულების ან მისი დანართების ნამდვილობაზე.

10.3. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება მხარეთა შორის წარმოებს წერილობით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

10.4. ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები.

11. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

"შემსყიდველი" **სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია"** ს/კ 206237491 მის: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №21 ტელ/ფაქსი: 2 24 40 40 / 2 24 40 41 სს „თიბისი ბანკი" ბ/კ: TBCBGE22 ა/ა GE71TB7895736030100001 **დირექტორი ფინანსურ საკითხებში** **დ.ვარდიაშვილი**	**"მიმწოდებელი"** **შპს `ჯი-ემ-თი მთაწმინდა"** ს/კ: 203843396 ტელ: +032 223 10 01 ი/მის.: თბილისი, თავისუფლების მოედანი N4 სს „საქართველოს ბანკი" ბ/კ: სს"თიბისი ბანკი" ა/ა E31TB1100000023467236 **საკვებისა და სასმლის საოპერაციო მენეჯერი** **თ. ამირიძე**

ხელწერილი

28.05.2018

ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ **შპს „ჯი ემ თი მთაწმინდა“-სთან** (ს/კ 203843396), შესყიდვის განხორციელებისას ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

დავით ვარდიაშვილი _____

ნადია ხაჟომია _____

თამარ გურგენიძე _____

ვახტანგ ხელაძე _____

გიორგი გორგასლიძე _____

მერაბ დადუნაშვილი _____

ლევან ჩხეიძე _____

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

21634513895718

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N180242000

რეგისტრაციის თარიღი

07.03.2018 წ

ნოტარიუსი: ნინო ხოფერია
მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. 28/2
ტელეფონი: +995 32 2 98 70 24

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

დღეს, ორიათას თვრამეტი წლის შვიდ მარტს, მე, ნოტარიუსი ნინო ხოფერია, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს ქ. თბილისში, რუსთაველის გამზ. №28/2-ში, გამოვცხადდი მისამართზე: ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №4-ში შპს ,,ჯი ემ თი მთაწმინდა"-ს (შემდგომში „კომპანია") გენერალურ დირექტორ, გიორგი თავაძესთან (დაბ: 17.07.1964 წელი; მცხ: ქ. თბილისი, ნ. საჯაიას ქ. N6, ბინა №45; პირადი №01008002066) თანახმად ამონაწერისა სანეწარმეო რეესტრიდან მომზადებული 17.05.2016 წელს, საიდენტიფიკაციო კოდი: 203843396, რომელმაც განაცხადა, რომ სურს მინდობილობის შედგენა თეა ამირიძის (დაბ: 03.09.1978 წელი; პირადი №31001001027) (შემდგომში „რწმუნებული პირი") მიმართ, რათა რწმუნებულმა პირმა წარმოადგინოს კომპანია ყველა იმ ღონისძიების (სხვადასხვა სახის წვეულება, ბანკეტი, კონცერტი, შემოქმედებითი საღამო, კონფერენცია და ა.შ.) ორგანიზებასა და ჩატარებასთან დაკავშირებით, რომლებიც გაიმართება კომპანიის საკუთრებაში არსებულ ობიექტებში (საკადასტრო კოდი: 01.15.06.001.001). აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელების პროცესში რწმუნებული პირი უფლებამოსილია შეასრულოს შემდეგი მოქმედებები: (1) კომპანიის სახელით წარმართოს მოლაპარაკებები ღონისძიების ორგანიზატორებთან/კომპანიის დამკვეთებთან და პოტენციურ დამკვეთებთან, შესთავაზოს მათ კომპანიის მხრიდან გასაწევი მომსახურების სახეები, პირობები და ფასები, მოლაპარაკების პროცესში შეუთანხმდეს ღონისძიების ორგანიზატორებს ღონისძიების ყველა და თითოეულ დეტალზე (თუკი ხდება შეთანხმება ისეთ პირობებზე, რომლებიც განსხვავდება კომპანიაში დადგენილი მომსახურების სტანდარტული პირობებისგან, მოიპოვოს თანხმობა კომპანიის ხელმძღვანელისგან ან თავად გადაწყვიტოს ეს საკითხი კომპანიის ინტერესებიდან გამომდინარე და აცნობოს ამის თაობაზე კომპანიის ხელმძღვანელს და სხვა შესაბამის განყოფილებებს), (2) იმ შემთხვევაში, თუ ღონისძიების ორგანიზატორი თავად კომპანიაა, უზრუნველყოს ყველა იმ საკითხის დროული გადაწყვეტა/უზრუნველყოფა, რაც გამომდინარეობს ღონისძიების სახიდან და კომპანიის ხელმძღვანელის დავალებიდან, (3) კომპანიის სახელით ხელი მოაწეროს ყველა და ნებისმიერ ხელშეკრულებას, შეთანხმებას და სხვა საჭირო დოკუმენტს, რაც უკავშირდება ღონისძიებების ორგანიზება-ჩატარებას, (4) უზრუნველყოს ღონისძიებების ორგანიზება-ჩატარების დროს შესაბამისი ზედამხედველობა და კონტროლი, აცნობოს კომპანიის ხელმღძვანელობას და სხვა შესაბამის განყოფილებებს ნებისმიერი ისეთი გარემოების შესახებ, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს ღონისძიების შეთანხმებული პირობებით ორგანიზება-ჩატარებას ან ზიანი მიაყენოს კომპანიის ინტერესებს, (4) შეასრულოს ყველა და ნებისმიერი სხვა მოქმედება, რაც, კომპანიის ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელია ღონისძიებების მაღალ დონეზე და ხარვეზების გარეშე ორგანიზება-ჩატარებისთვის.

მინდობილობა გაცემულია 2 კალენდარული წლის ვადით.

მე, ნოტარიუსმა ნინო ხეფერიამ ვნახე შპს ,,ჯი ემ თი მთაწმინდა"-ს წესდება, რომლის ელექტრონული ვერსია ინახება საიტზე, შევამოწმე მხარის ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავადგინე მისი ნების გამოხატვის ნამდვილობა და შევადგინე წინამდებარე მინდობილობა ქართულ ენაზე, რომელიც წაეკითხა მხარეს ხმამაღლა ქართულ ენაზე, მხარეს გავაცანი აღნიშნული მოქმედების შესაბამისი სამოქალაქო კოდექსის ნორმები. რაზედაც მან განაცხადა, რომ ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი აღნიშნულ მინდობილობას.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ორი გადაეცემა მხარეს, ხოლო ერთი რჩება ნოტარიუს ნ. ხოფერიას სანოტარო ბიუროში, რომელსაც თან ერთვის შპს "ჯი ემ თი მთაწმინდა"-ს ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან მომზადებული 17/05/2016 წ. საიდენტიფიკაციო კოდი: 203843396

სანოტარო საზღაური - 10 (ათი) ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 2011წ. 29.12. #507 მთავრობის დადგენილების მუხლი 31-სა, პ.7, 20 (ოცი) ლარი სანოტარო ბიუროს გარეთ შესრულებული სამუშაოსათვის მუხლი 34 პ.2, აგრეთვე დღგ (18%) საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის საფუძველზე და 2 (ორი) ლარი დღგ-ს ჩათვლით, სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ 39-ე პ.1 მუხლის შესაბამისად. სულ გადახდილია 37.40 (ოცდაჩვიდმეტი ლარი და 40 თეთრი) ლარი.

მხარე: _____

ნოტარიუსი: /ნ. ხოფერია/
ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი №28/2